სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება

ხელშეკრულება №60

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც დადებულია გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული გამარტივებული შესყიდვის საშუალებით

ქ. ბათუმი 27 თებერვალი 2012 წ.

ერთის მხვრივ, შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო" (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის აბესალომ გურგენიძის სახით და მეორეს მხვრივ, ი/მ „რ.ფაიტიანცი" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი რაჟდენ ფაიტიანცის სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის და გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული გამარტივებული შესყიდვის შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ახორციელებს მიწოდებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.6. „საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სამედიცინო მოწყობილობების (ჯგუფი 33100000) შესყიდვა.

2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის რაოდენობა და აღწერა მოცემულია დანართი №1-ში , რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 408 (ოთხას რვა) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისიწნებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო (გადარიცხვა) ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს ობიექტის მიწოდებიდან, 15 დღის განმავლობაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. „შემსყიდველი" შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს ხელშეკრულების გაფორმებისთანავე.

5.2. მიმწოდებლის მიერ ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტზე ხელისმოწერის დღიდან.

5.3. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

5.4. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული სამუშაოს მოცულობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

6. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1. საქონლის მიწოდების ადგილად განისაზღვრება მიმწოდებლის მისამართი.

6.2. საქონლის მიწოდება შემსყიდველისათვის უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებისთანავე.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) საქონლის მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მიაწოდოს საქონელი სათანადო ხარისხისთ და სრული მოცულობით, ხელშეკრულების მე-6 მუხლის შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოს საქონლის მიწოდება ტექნიკური დავალების შესაბამისად;

გ) იმ შემთხვევაში, თუ მიწოდებული საქონელი ნაკლის მქონე აღმოჩნდება გარანტიის მოქმედების ვადაში, აღმოფხვრას ნაკლი ან შეცვალოს იგი შეტყობინებიდან 5 დღის ვადაში;

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შესაბამისად განსაზღვრული პირი.

8.2. ინსპექტირება გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.

8.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების **0.1 %.**

9.2. იმ შემთხვევაში, თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების **4%-ს,** შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის

დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

13. ხელშეკრულების ენა

13.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ვალდებულების შესრულებამდე.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
ქ.ბათუმი, ტბელ აბუსერიძის ქ.№2	ქ. ქუთაისი, ჩეჩელაშვილის ქ. 2
შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო"	ი/მ „ რაჟდენ ფაიტიანცი"
ანგარიშის № GE65 PC 0343 6001 0000 5728	*ანგარიშის № GE27BG0000000298531000*
საიდენტიფიკაციო კოდი: 245428880	*საიდენტიფიკაციო კოდი: 112835022*
მიმღების ბანკი: ს.ს. „პროკრედიტ ბანკი"-ს ბათუმის ფილიალი.	*მიმღების ბანკი: ს.ს. „ საქართველოს ბანკი"*
ბანკის კოდი: MIBGGE22	*ბანკის კოდი: BAGAGE22*
დირექტორი	ინდივიდუალური მეწარმე
აბესალომ გურგენიძე	რაჟდენ ფაიტიანცი

დანართი 1.

დასახელება	რაოდენობა	ფასი	ღირებულება
ძაფი პოლიპროპილენი 5/0	48	8,50	408,00
		სულ	408,00